ნანა კუპრაძე
საქართველოს უნივერსიტეტი
თბილისი, საქართველო
n.kupradze@ug.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2025.10.35

ვაჟა-ფშაველას ლიტერატურული ზღაპარი ,,ტრედები“

საკვანძო სიტყვები: ვაჟა-ფშაველა, ლიტერატურული ზღაპარი, ,ტრედები“

ლიტერატურული ზღაპრის შექმნამ ახალ მიმართულებას დაუდო სათავე. მისი პოპულარულობა და სიცოცხლისუნარიანობა იმითაც განისაზღვრა, რომ მწერალს შეეძლო გამოგონილი ამბით შენიღბული რეალობა მკითხველამდე უმტკივნეულოდ მიეტანა, თავისუფლად ესაუბრა საზოგადოებისათვის ყველაზე ხელშეუხებელ, მაგრამ მნიშვნელოვან ეროვნულ, სოციალურ ან მორალურ-ზნეობრივ პრობლემებზე.

ვაჟა-ფშაველას ლიტერატურული ზღაპრის მხატვრული ასპექტები თითქმის შეუსწავლელია. მიუხედავად იმისა, რომ ქართულ სალიტერატურო კრიტიკაში მკვლევართა არაერთი ტექსტის მეტად საინტერესო ანალიზია წარმოდგენილი, ქართული ლიტერატურული ზღაპარი მონოგრაფიულად ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი. ამის ერთ-ერთი მიზეზი, ალბათ, ისიცაა, რომ ათეისტური სულისკვეთებით გაჯერებული ტოტალიტარული რეჟიმის წნეხის პირობებში, ქართული ლიტმცოდნეობა აქტიურად ვერ ახერხებდა ბიბლიური და მითოსური სიმბოლოების მეცნიერულად დამუშავებასა და მის დაკავშირებას მხატვრულ ტექსტთან. ვაჟა-ფშაველას ლიტერატურული ზღაპარი ,,ტრედები“ ამ კუთხითაც მეტად საინტერესო აღმოჩნდა. ჩვენი მიზანია ნაწარმოებში არსებული სხვადასხვა სიმბოლურ-არქეტიპული მოდელის მხატვრული ინტერპრეტაცია, რაც ვფიქრობთ, აუცილებელია ტექსტის გაგებისა და ნაციონალური კულტურის შეფასების თვალსაზრისით.

ლიტერატურული ზღაპარი იწყება ზღვის გაღმიდან საკუთარი ბუდისკენ მომავალი მტრედების ამბით. სუსტი და გაჭირვებული ექცევა მწერლის ყურადღების ცენტრში. თავშესაფრის მაძიებელთა მიმართ ყველა გულგრილობას გამოხატავს. სიუჟეტის განვითარებისას გვხვდება ორი სიზმარი, რომელთაგან ერთს დედა ხედავს, მეორეს - შვილი. მკითხველისთვის უცხო არაა, რომ ვაჟა-ფშაველა სიზმარს მხტვრული ფუნქციით ხშირად მიმართავს. ამ შემთხვევაში სიზმარი ამბავს დამატებით პლასტებს სძენს, რადგან უმწეო და გაჭირვებულ გმირთა განცდასაც გამოხატავს, მათ სულიერ შინაარსსაც ხსნის და მომავალსაც წინასწარმეტყველებს.

მტრედებმა ბევრი ხიფათი გადალახეს, მონადირესაც დააღწიეს თავი, მაგრამ წინ ახალი განსაცდელი ელით,- მელა ხვდებათ, რომელიც თვითონ ვერ გააბრიყვებს და შთანთქავს დედა-შვილს, სამაგიეროდ, ძერას მიასწავლის მათ სამყოფელს და უმტრობს. ძერა დედა მტრედს თვალწინ შეუჭამს შვილს, თვითონ დედას კი მოგვიანებით ადამიანი მოუსწრაფებს სიცოცხლეს. ასეთია ამ ზღაპრის მოკლე შინაარსი.

ფოლკლორული ზღაპრისაგან განსხვავებით, ნაწარმოებს ტრაგიკული დასასრული აქვს. თხრობის ტემპიც სწრაფი და ექსპრესიულია. დაძაბულობის მუხტი კი მუდმივად შენარჩუნებული.

მელიისა და ფრინველთა მტრობა ფოლკლორული ზღაპრის ყველაზე გავრცელებული სიუჟეტია, მტრობის კლასიკური მაგალითია. როგორც ტექსტიდან ირკვევა, ბევრი ხიფათის გადატანის შემდეგ მტრედები საკუთარ ბუდეს უბრუნდებიან. დაბრუნების სიხარულმა გადატანილი უბედურება დროებით დაავიწყა მათ. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეს ყველაფერი სიზმარში ხდება, აწმყო კი სხვაგვარია. ვფიქრობთ, დაუკარგავი ბუდის პოვნის სიხარული ჩვენს ეროვნულ ტკივილს უნდა უკავშირდებოდეს.

მივყვეთ ტექსტს. ,,გზას ვეღარ ვიგნებდით, ბინა დაგვითოვლა... ბუდე მთელი დამიხვდა, ღუღუნი უნდა დამეწყო. მიხაროდა, ძალიან მიხაროდა, რომ მთელი ვნახე კიდევ ჩვენი ბუდე. მაგრამ უცბად ლეგა ფერისა რაღაც გაინძრა ბუდეში, თავი გადმოჰყო, ცეცხლივით თვალები შემომაფეთა; ქორი იყო, იმას დაესაკუთრებინა ჩვენი ბინა " (ვაჟა-ფშაველა, 2011). ცოტა ქვევით ავტორი განავრცობს ამ თემას. ,,იმის ბუდე ის ბუდე აღარ იყო, რაც ტრედმა ჩადგა, ქორს დაესაკუთრებინა, გაეფართოვებინა, მსხვილის წიწკრებით გაესხვაფერებინა, საზარლად შემოჰბღვეროდა, მოლეშების სუნი შემოებნია, რაღაც მქისე და საძაგელი, და ბღარტებიც გამოეჩეკა. ყვითელი თვალები ქორს დაშტერებით, ისრებივით მიეპყრო ტრედისთვის. პატარა ქორებიც ქორულად და შმაგად იცქირებოდნენ "(ვაჟა-ფშაველა, 2011). ნათელია, რომ მტაცებელი ქორი, რომელიც მტრედების ბინას ისაკუთრებს, მტრის ხატია.

თხრობა გრძელდება და ემოციაც იმატებს; სადღაც წეროების გუნდი არწივს დაეფრთხო, ერთი მათგანისთვის ჩაევლო ბრჭყალი და გლეჯდა. ბოროტება, რომელიც ყოველ ნაბიჯზეა ჩასაფრებული და სუსტსა და დაუცველს მუსრს ავლებს, მტრის ხელით, თავისი მხატვრულ ფუნქციას ასრულებს,- ანადგურებს სიკეთეს.

მტრის ხატი სამი ფრინველის სახით შემოდის სიუჟეტში; ეს ფრინველებია: ქორი, ძერა და არწივი. მათგან გვინდა გამოვყოთ არწივი, რადგან ვაჟა-ფშაველას ნაწარმოებებში ხშირად გვხვდება სხვადასხვა დატვირთვით. უფრო ხშირად არწივი ვაჟკაცობის, სიმამაცის, სიძლიერის, სიბრძნის გამოხატველია, ზღაპარში ის ჩვეულებრივი მტაცებელია.

უძველეს ხალხთა ტრადიციაში არწივი მზის, სინათლისა და ძლიერების სიმბოლო იყო. ბერძნული მითოლოგიის თანახმად, არწივი ზევსის ფრინველია, რომელსაც თავის პატრონთან ტიტანების დასამარცხებლად ისრები მიჰქონდა. არწივი გვხვდება პრომეთეს მითშიც, სადაც ის გმირს სხეულს უკორტნის. ფრთაგაშლილი არწივი რომაელ იმპერატორთა ატრიბუტიკაში გვხვდება, როგორც ძალაუფლების სიმბოლო.

არწივი, როგორც განახლების სიმბოლო, გვხვდება ძველ ქართულ წარმოდგენებში. გარკვეული სიმბოლურ-ალეგორიული სახით მოცემულია ქრისტიანულ რელიგიაშიც. ფსალმუნებში არწივს ორბი ენაცვლება - ,,რომელმან აღავსო კეთილთა მიერ გულისთქმა შენი; განახლდეს, ვითარცა ორბისა, სიჭაბუკე შენი " (ფასლმუნი 102, 2025) ესაიას წინასწარმეტყველებაში ნათლობის მადლის შესახებ საუბრისას გვხდება ასეთი ფრაზა: ,,უფლის მოსავნი კი განიახლებენ ძალას, არწივივით გაშლიან ფრთებს, გაიქცევიან და არ დაიღლებიან, ივლენ და არ დაიქანცებიან (ესაია 40) (ესაია 40, 2025). არწივს შეუძლია მზესაც გაუსწოროს თვალი, ამიტომაც იგი უფლის სიმბოლოდაც მიიჩნევა.

ვაჟა-ფშაველას ლიტერატურულ ზღაპარში ,,ტრედები“, ის მოძალადის, მტრის სიმბოლურ-ალეგორიული სახეა, თუმცა მოძალადე არწივი ერთ შემთხვევაში სიზმრის გმირია. როცა დედა მტრედი ,,მოძალადე“ არწივზე სიზმარს ჰყვება, ავტორი იქვე განმარტავს: ,,ნამდვილად ისე არ იყო ბუნებაში, რაც ტრედს ესიზმრა“ (ვაჟა-ფშაველა, 2011). ის მხოლოდ წარმოსახვითი მტერი იყო, სიზმრად ნანახი. საყურადღებოა, რომ არცერთ მტრედს არწივი არ კლავს, ერთს ძერა მოუღებს ბოლოს, მეორეს-ადამიანი. არწივი, როგორც ანტაგონისტი, ისე არ უკავშირდება მთავარ გმირს, აქედან გამომდინარე, ზღაპრის იდეას - სიკეთესა და სათნოებას.

მტრედებმა იციან, რომელი მტრის უნდა ეშინოდეთ. ერთ ეპიზოდში მონადირე მტრედებს თვალს აარიდებს. გამოუცდელ შვილს გაუხარდება და დედას ეტყვის, რომ ,,კეთილმა კაცმა“ მათ ხმა არ გასცა. დედა უხსნის შვილს, რომ ეგ სხვა მონადირეა, მას ასეთ პატარა ფრინველთათვის არ სცალია, მათი მოკვლა არაფერს არგებს, ის დიდ ნადირებს დასდევს. რამხელა ირონია ჩანს ადამიანის დაუნდობელი ბუნების მიმართ?! კაცი მსხვერპლს სიდიდის, ზომა-წონის მიხედვით აფასებს!

ნაწარმოებში კაცის ბუნების კანონზომერებადაა ჩათვლილი: სიხარბე, დაუნდობლობა, ეგოცენტრიზმი, მხოლოდ პირად სარგებლობაზე ზრუნვა, დაუნდობლობა, ძალადობა. ,,ეგ ჩვენზე თოფს არ დასცლის. მაგან იცის, რომ ჩვენი მოკვლით ვერაფერს ირგებს და ცოდვას კი დიდსა სჩადის... სხვებმა არ იციან და არც დასდევენ სარგებლობას. იმათ სისხლი უყვარსთ, ჩვენი მოკვლა ვაჟკაცობად მიაჩნიათ...“ (ვაჟა-ფშაველა, 2011).

ნაწარმოებში, ტრადიციული ფოლკლორული ზღაპრის მსგავსად, დრო და ადგილი დაკონკრეტებული არ არის; ამის საჭიროება არც არის. აქ თითქოს მიკროსამყაროა, ცხოვრებაა თავისი დაუნდობელი კანონებით: ძალადობით, დაუნდობლობით, ჩაგვრით და პერსონაჟებიც იბრძვიან გადარჩენისა და სიმშვიდისათვის.

ვაჟა-ფშაველას პროზის სტილის თავისებურების ანალიზისას შენიშნულია, რომ მას არ ახასიათებს დიდაქტიკური ან მორალისტური მოწოდებები ,,მიუხედავად იმისა, რომ ვაჟა ეთიკურ პრობლემათა წრეში ტრიალებს, მის მხატვრულ შემოქმედებაში ეს საკითხები ისეა განხილული და გადმოცემული, რომ თითქმის არ ვხვდებით მორალიზების ტენდენციის, დარიგება-ჭკუის სწავლების გამომხატველ გამოთქმებს“ (კიკნაძე,1989:221). ამ თვალსაზრისით ლიტერატურული ზღაპარი ,,ტრედები“ გამონაკლისად უნდა ჩაითვალოს. ეპიზოდში, როცა დედა-შვილი დაკოდილ მწყერს უვლის, დედა მტრედი შვილს მოუწონებს გულიხმიერებას და ასე დამოძღვრავს: ,,შვილო, ბარაქალა შენს ვაჟკაცობას! შებრალება გვმართებს ერთმანერთისა. იქნება ჩვენც დაგვადგეს მაგნაირი დღე. აბა ჩვენს თავზე ვიფიქროთ, როგორი საშინელი და საზარელი ყოფაა ყოფა უპატრონო, უმწეო სნეულისა: არავინ შემბრალე, არავინ მანუგეშებელი, არავინ ყურის მგდებელი“ (ვაჟა-ფშაველა, 2011).

ვაჟა-ფშაველას მხატვრულ სამყაროში ბუნება ურთიერთმონობის, ურთიერთსიყვარულის პრინციპს ეყრდნობა. ყოველი არსი ბუნებისა ფლობს უნარს, ჩასწვდეს მეორის ტკივილს. ადამიანთა არსებობის სწორი მოდელი ბუნებაშია მოცემული; სწორედ მისგან უნდა ისწავლოს, ბუნებაში არსებული პრინციპები ცხოვრებაში გადმოიტანოს კაცმა. სხვათა გაგების უნარი ამავე დროს საკუთარი თავის გამოხატვაცაა. ერთის ცვლილება გადამდებია მეორისთვისაც, მაგალითია სწორად ცხოვრებისა.

ლიტერატურული ზღაპრის ერთ-ერთ ნიშნად უნდა მივიჩნიოთ მწერალის ლტოლვა დეტალიზაციისაკენ. ავტორი ერთსა და იმავე თემას რამდენჯერმე უბრუნდება და

ცდილობს ზუსტად აღწეროს ამბავი: გაგვაგონოს ხმა, დაგვანახოს ფერი, გვაგრძნობისნოს და განგვაცდევინოს სხვადასხვა გრძნობა: შიში, სიხარული, თანაგრძნობა, შებრალება და სხვა.

მივყვეთ ტექსტს, მწერალი მოგვითხრობს: ,,ცისკარი ამოსულიყო და მოწმენდილს ცის კიდეს ამშვენებდა. სინათლემ თანდათან იმატა, აღმოსავლეთი გაწითლდა. იგი ნაომარს ადგილს ჰგავდა, სისხლით გადალესილს...“ აღმოსავლეთის, მზის, სინათლის დაბადების ადგილის გაწითლებაც ბნელი ძალის გაძლიერებაზე მიგვანიშნებს.

ზღაპარი საინტერესოდ გრძლედება. ,,ტრედები ხშირის ბალახიდამ გაგოგდენ, მხრებიდამ ნამი გაიბღერტეს, ახლო ხნული დაუხვდათ წინადღეს დაფარცხული. ფარცხი ნახნავში ეგდო, ოროლი მარცვალი აკენკეს და უცებ შეჩერდენ. კვალში უცხო რამ სანახავი დაინახეს. აქ საშიში არაფერი იყო, მხვნელს დაჰვიწყებოდა ძველი დაგლეჯილი გუდა და უარესად დაძველებული ქალამნები, ხუთგან ამოგლეჯილი ნაბდის ქუდი და ჩოხის ნაგლეჯი. მალე გაარჩიეს სურათი და ისევ თამამად დაუწყეს მარცვლებს ძებნა. ხუთ-ხუთი მარცვალი კიდევ შეჭამეს, უცებ აიშალნენ და გამოსწიეს სამხრეთისაკენ.“

ყანისა და მხვნელის მხატვრული სახეები უნდა უკავშირდებოდეს სახარებისეულ ,,ხორბლისა და ღვარძლის“ იგავს, რომლის თანახმადაც ყანა სიმბოლურ-ალეგორიულად წუთისოფელია, სადაც კეთილი და ბოროტი თანაარსებობს. მკა მეორედ მოსვლის ჟამია, როდესაც კეთილი და ბოროტი ერთმანეთისგან განირჩევა.

ზღაპარში ვკითხულობთ, რომ ნახნავში მხვნელი ყოფილიყო, რომელსაც დარჩენოდა ხუთგან ამოგლეჯილი ნაბდის ქუდი, ქალამნები, გუდა და ჩოხის ნაგლეჯი. მხვნელი უფლის პარადიგმა უნდა იყოს, რომელსაც მარცვლები დაეტოვებინა ხნულში. ბიბლიის დაბადების წიგნში ვკითხულობთ: ,,როცა სამკალი გექნებათ თქვენს მიწაზე, ნუ მომკი ყანის კიდემდე და მკის დროს დაცვენილს ნუ აკრეფ.“ ასევე, ,,ვენახსაც ნუ მოკრეფ მთლიანად, ძირს დაცვენილ ცალკეულ მარცვლებს ნუ აკრეფ: ღარიბისა და ხიზნისთვის დატოვე. მე ვარ უფალი, თქვენი ღმერთი.“ (ლევიანნი 19, 9: 10) (ლევიანნი 19, 2025) გაჭირვებულთა და უპოვართა შემწე უფალმა დროებით დატოვა ხნული, მარცვალიც დააბნია მშიერთა დასაპურებლად და იმედიც იმისა, რომ კვლავ დაბრუნდება (სულიერება, დაკარგული ღმერთი) ცოდვილ მიწაზე. ნივთების დარჩენაც მხატვრული ჩანაფიქრია იმის მისანიშნებლად, რომ მათი პატრონი კვლავ მოაკითხავს მათ.

საგულისხმოა ტბის სიმბოლური დატვირთვაც. დაკარგული მეგობრის ძებნისას დედა-შვილი ტბას მიადგა. ტბის სტიქიის რწმენა უძველეს ცივილიზაციებშიც არსებობდა. ტბა განასახიერებს სიმშვიდეს, მდუმარებას, იდუმალებას. ქართული მითოსშიც ტბას განსაკუთრეული დატვირთვა აქვს. ფშავ-ხევსურეთში გავრცელებული ერთ-ერთი ცნობილი თქმულების მიხედვით, ღვთისშვილი იახსარი აბუდელაურის ტბაში ჩაჰყოლია დევს და იქ მოუკლავს. დევის სისხლით დაფარულ ტბის ზედაპირზე იახსარი ვეღარ ამოსულა, ვიდრე მისთვის მსხვერპლი არ შეუწირავთ,- ოთხრქა და ოთხყურა ცხვარი. იახსარი მტრედის სახით ამოსულა ნაპირზე და ცისკენ გაფრენილა (აბუდელაურის ტბა, 2025). ესე იგი ტბიდან გმირი უნდა იშვას, რომელიც ღირებულებებს გადააფასებს, თუმცა ჯერჯერობით ამ იდეალებს განხორციელება არ უწერიათ, ზღაპრის ტრაგიკული დასასრული, მტრედების დახოცვა, ვფიქრობთ, ამის მაუწყებელია.

ზღაპრის მიხედვით ტბა მდუმარეა, მისი შემოგარენი კი - ხმაურიანი, ჩრდილოეთისკენ მიმავალი წეროების გუნდს ტბის მყუდროება დაერღვია, ბობოქრობს და ამის მიზეზიც აქვს. არც ჩრდილოეთი უნდა იყოს შემთხვევით შერჩეული მიმართულება.

,,ტბა მშვიდობიანად იყო, მაგრამ ტბის ნაპირებზე ჩრდილოეთს მიმავალ წეროების გარს შემორტყმულს გუნდს აეტეხათ საშინელი ჟრიამული, უდიერი ხმაურობა, ხმაურობა ისეთი, რომ პირისპირ შეყრილს კაცებს კივილით უნდა ესაუბრათ და მაშინ თუ გააგებინებდენ ერთმანერთს თავის გულის პასუხს“ (ვაჟა-ფშაველა, 2011). ასეთი ქაოსური გარემო თითქოს XIX საუკუნის ქართული რეალობიის ინტერტექსტია.

რაც შეეხება მტრედის სიმბოლიკას. მტრედი ახალ აღთქმაში სულიწმინდის სახეა (მათე 3.16; მარკოზი 1.10, ლუკა 3.22, იოანე 1.32), (ბიბლია, 2025).

ბიბლიაში კი სამსხვერპლო ფრინველად მოიხსენიება (ლევ. 1.14; ლუკა 2.24.) როგორც მიუთითებენ, მსხვერპლშეწირვის რიტუალი ყველა წესის დაცვით მიმდინარეობდა. მსხვერპლად მამრობითი სქესის რქოსანი პირუტყვი უნდა შეეწირათ (III), მაგრამ ნებადართული იყო ფრინველის, მტრედის ან გვრიტის შეწირვა, რადგან ისინი უსქესო ფრინველებად ითვლებოდნენ (ლოპუხინი, 2025)

მტრედი სიყვარულის, სინაზის, სიკეთის, მშვენიერების სიმბოლო იყო ძველი აღთქმის წიგნებსა თუ სხვადსხვა ხალხის წარმოდგენებში. მტრედი ასევე სიმბოლო იყო უფლის მავედრებელთა და მგლოვიარეთა (ესაია 38. 14. 59; 60.8) (ესაია, 2025).

ზღაპრის მორალი ასეთია: უღმერთო ქვეყანაში მტრედები იხოცებიან. მათთან ერთად კვდება სიყვარული, სიკეთე, სინაზე და მშვენიერება. მაგრამ ეს კვდომა დროებითია.

ისევ ზემოთ ნათქვამს დავუბრუნდებით - ,,მხვნელი“ - უფალი, ისევ დაუბრუნდება მიწას ცოდვილი კაცობრიობის გადასარჩენად.

ლიტერატურა:

1. კიკნაძე გრ., ,,ვაჟა-ფშაველას შემოქმედება“. გვ. 221. თბილისი: თსუ. 1989.
2. ლეთოდიანი ა., ,,გვრიტის, მტრედისა და ორბის სიმბოლიკა ,,გიორგი მთაწმინდელის“ ცხოვრების“ მიხედვით.“ ,,ლიტერატურული ძიებანი”. # XXXIV, გვ141. თბილისი: შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი. 2013.
3. ქურდოვანიძე თ., ,,ვაჟა-ფშაველა და ქართული ფოლკლორი“, გვ.262. თბილისი.უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2011.

სასარგებლო ბმულები:

ბიბლია, ლევიანნი 19 http://biblia.ge/paralel/2339 (27.02.2025)

ვაჟა-ფშაველა https://tagiweb.wordpress.com/2011/12/14/tredebi/ (4.02.2025)

აბუდელაურის ტბა https://www.nplg.gov.ge/wikidict/index.php/ აბუდელაურის_ტბა (06.02.25)

ლოპუხინიhttp://www.greeklatin.narod.ru (07.02.25)

ფსალმუნი102https://www.orthodoxy.ge/tserili/gadasatseri/dzveli/fsalmunni/fsalmunni-102.htm (12.02.25).

ესაია 40 https://www.orthodoxy.ge/tserili/biblia_sruli/dzveli/esaia/esaia-40.htm 24.02.25.

ესაია 38 https://www.orthodoxy.ge/tserili/biblia_sruli/dzveli/esaia/esaia-38.htm 24.02.25

ბიბლია https://www.orthodoxy.ge/tserili/biblia_sruli/sarchevi.php 23.02.25

Nana Kupradze
Georgian University
Tbilisi, Georgia
n.kupradze@ug.edu.ge
https://doi.org/10.52340/lac.2025.10.35

Vazha Pshavela's literary fairy tale ,,Trades "

Abstract

The artistic aspects of Vazha-Pela's literary fairy tale are almost unexplored. Although many excellent articles have been written, they have not yet been studied monographically. One of the reasons for this is that Georgian literary studies, under the pressure of the atheistic Soviet regime, were actively unable to scientifically process biblical and mythological symbols and connect them with the artistic text. Vazha - Pshavela's literary fairy tale, Treadi " turned out to be very interesting from this point of view as well. We think that the artistic interpretation of different symbolic and archetypal models in the work is necessary for the purpose of perceiving and evaluating the national culture.

As a rule, a literary fairy tale represents the era in which it was created, as well as the direction to which the writer belongs. Although the fairy tale is based on folklore sources, it also contains an artistic invention, in any case, it expresses the author's artistic idea. The story, "Treads" tells us about such delicate topics as: kindness, love, pity, trust, betrayal, etc.

The genre specifics of the literary fairy tale do not require convincing the reader of the truth of the story, so the writer often resorted to this possibility of expression, especially in cases where under censorship he wanted to somehow disguise the creative form of national self-expression.

Researchers have repeatedly noted Vazha-Pela's special interest in moral and moral problems. It must be said that nature, As perfection, Vazha-Pela has a moral appearance in the artistic world. Man should take an example of perfection from the children of nature.

In the story, the creatures of nature perceive life as a precious mercy, so they are allowed to enjoy life with all their being, because they subconsciously feel the hidden sadness of a short existence.

The language of nature can be understood only if a person equipped with humanistic ideals makes love for it.

A world that experiences unbearable hunger needs love, unity, compassion and most of all the feeling of freedom.

Key words: Vazha Pshavela, literary fairy tale, ,,Trades "